

„საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებში სტანდარტული პირობების
ჩართვის წინამძღვრები, ინკორპორაციასთან დაკავშირებული
დისკუსიებისა და თეორიების სამართლებრივი ანალიზი“

მარიამ მიქაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი მაგნიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

მარიამ მიქაძე

07/02/2022

აბსტრაქტი

თანამედროვე მასობრივი ეკონომიკის მთავარი მახასიათებელი ბიზნეს გარიგებებში სტანდარტული პირობების ინკორპორირებაა. სამართლებრივ სფეროში ძალიან ცოტა რამ არღვევს საერთაშორისო იურისპრუდენციას ისე, როგორც დისკუსიები სტანდარტული პირობების ეფექტურ ჩართვასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ბაზარზე წარმოშობილი დავების ოდენობამ აჩვენა რომ კონფლიქტური სიტუაციები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სტანდარტული პირობების ტექსტი, ხელშეკრულების დადების დროს, ძირითად ხელშეკრულებასთან ერთად, ადრესატისთვის შესაფერისი ფორმით წარმოდგენილი არ არის.

კონფლიქტურ სიტუაციებში სასამართლოები 1980 წლის, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ, ვენის კონვენციას მიმართავენ. (CISG) CISG საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ჰარმონიზაციის უმთავრეს ობიექტს წარმოადგენს. მიუხედავად ამგვარი აღიარებისა, არის რამდენიმე სფერო, სადაც სასამართლოებმა იგი განსხვავებულად განმარტეს, - სტანდარტული პირობების ინკორპორირება ერთ-ერთი მათგანია.

არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციების ფონზე, სტანდარტული პირობების ფორმალურ მხარესთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა სამი განსხვავებული მიდგომა. გერმანიის სასამართლოებმა შეიმუშავეს მკაცრი მიდგომა, რომლის მიხედვითაც სტანდარტული პირობები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადრესატისთვის ხელშეკრულების დადებისას, მისთვის გასაგებ ენაზე. მკვეთრად საპირისპიროდ, ამერიკულმა სასამართლომ გამოიყენა მიდგომა, რომლის მიხედვითაც ინკორპორაცია დაშვებულია კონტრაქტის დადების შემდგომაც. ზომიერი მიდგომით ხასიათდება ავსტრიის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, ავსტრიის სასამართლოები სტანდარტული პირობების ვალიდური ინკორპორირებისთვის, ხელშეკრულებაში პირობების ჩართვასთან დაკავშირებული პუნქტის ან მითითების არსებობას საკმარისად განიხილვენ. თანმიმდევრული სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილია ის წინააღმდეგობები, რომლებიც იდენტური საკითხის ირგვლივ არსებული სამი განსხვავებული წესიდან მომდინარეობს.

სტანდარტული პირობების ფორმალურ მხარესთან დაკავშირებული სამი წინააღმდეგობრივი შინაარსის მქონე მიდგომა ისტორიული, აღწერილობითი, ნორმატიული,

სიტუაციური, შედარებითსამართლებრივი და პრობლემაზე დაფუძნებული დოქტრინალური კვლევის მეთოდების საფუძველზე არის შესწავლილი. საკითხის მეთოდოლოგიური კვლევის შედეგად გაკეთებული დასკვნების საშუალებით, ნაშრომში მკითხველისთვის შეთავაზებულია კონვენციის დებულებების სათანადო ინტერპრეტაციასა და საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკასთან მისადაგებული მიდგომა. ამ მხრივ, ნაშრომში უარყოფილია ინკორპორირებასთან დაკავშირებული ორი უკიდურესი მიდგომა, ზომიერი მიდგომის სასარგებლოდ.

საკვანძო სიტყვები: სტანდარტული პირობები, ინკორპორაცია, CISG, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი, მკაცრი მიდგომა, ლიბერალური მიდგომა, ზომიერი მიდგომა.

Abstract

It is a crucial aspect of the economy that contracts for business transactions should be regulated by the standard terms of one party. In the legal field, very few things violate international jurisprudence in the same way as the discussions about the effective inclusion of standard terms. The amount of disputes arising in the global market has shown that conflict situations occur when the text of the standard terms is not included in the main agreement, at the time of contracting. In such conflicting situations, courts depend on the interpretation of the United Nations Convention on Contracts for the International Sale of Goods, Vienna 1980 (CISG). One of the most effective tools for harmonizing and unifying international trade law is CISG. Despite such recognition, there are several areas where the courts have interpreted convention differently – incorporation of standard terms is one of them. Three different approaches to the formal side of standard terms have emerged based on divergent interpretations. The strict approach developed mostly by a German court requires that the standard terms should be made available to the other party in a reasonable manner at the time of contracting. In stark contrast, according to the lenient approach made by U.S courts, standard terms can be validly incorporated after the conclusion of the contract. As determined by the Austrian court in the Moderate approach, mere reference is sufficient for the inclusion of standard terms.

Divergent approaches regarding valid inclusion of standard terms are examined on the basis of Historical, Descriptive, Normative, Case Study, Comparative and Problem-based Doctrinal research methods.

The purpose of this essay is to scrutinize the various approaches established in case law against the backdrop of the CISG rules, to determine the most acceptable and appropriate approach for the valid incorporation of standard terms under the CISG. In this respect, in favor of a moderate approach, two extreme approaches regarding the formal side of standard terms are rejected.

Kew words: Standard terms, CISG, incorporation, International trade law, Strict Approach, Lenient Approach, Moderate Approach.